გორისმუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 170

2022 წლის 9 სექტემბერი

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ს.კ. 66.05.17.220.01.502), პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისთვის სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებით თანხმობის მიცემის შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება აქტიურად ახორციელებს არაერთ პროექტს, რომლის ფარგლებშიც ბენეფიციარები ჩართულები არიან სხვადასხვა აქტივობაში, ტარდება სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები ბენეფიციარებსა და მოსახლეობისთვის. სოციალური აქტივობის ფარგლებში ფუნქციონირებს რეცხვის სერვისი და საშხაპე. საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება გორში ფლობს მობილური ჯანდაცვის კაბინეტს და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ერთად ახორციელებს ერთობლივ ჯანდაცვის პროექტს.

გარდა სოციალური ცენტრის ყოველდღიური აქტივობისა, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივი პროექტისა, გორში მიმდინარეობს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაფინანსებული პროექტი „ჯანდაცვა საგანგებო სიტუაციების დროს“, რომლის ფარგლებშიც მუშაობა მიმდინარეობს 6 ძირითადი მიმართულებით: 1) წყალი, სანიტარია, ჰიგიენა; 2) კატასტროფის მართვა; 3) ფსიქოსოციალური დახმარება; 4) თემზე დაფუძნებული ზედამხედველობა; 5) ჯანდაცვა კატასტროფის დროს; 6) პირველი დახმარება.

პროექტის ფარგლებში ხდება თემის მოხალისეთა მობილიზება და დატრენინგება, რათა ეპიდაფეთქებისა და საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში მოხდეს დროული და სწორი რეაგირება ადგილზე.

2016 წლიდან გორში, ასევე მიმდინარეობს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და ნორვეგიის წითელი ჯვრის ერთობლივი, ორი ეროვნული საზოგადოების ფილიალების დამეგობრების პროექტი.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ 2020 წლის დღემდე საქართველოს წითელი ჯვარის საზოგადოებამ გორის მუნიციპალიტეტის მერიას გადასცა 197 766 ლარის ღირებულების ჰუმანიტარული საქონელი.

აღნიშნული პროექტების შეუფერხელად გასაგრძელებლად ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ 2022 წლის 02 აგვისტოს N020822/2 წერილით ითხოვა ფართის გამოყოფა, რომელიც მდებარეობს ქალაქ გორში, ბარნოვის ქ. N9ა-ში (საკადასტრო კოდი N66.05.17.220.01.502).

გორის მუნიციპალიტეტის მერს და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას (ს/ნ 202051536) უსასყიდლოდ სარგებლობაში უზუფრუქტის ფორმით გადაეცეს, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, ქალაქი გორი, ბარნოვის ქ. N9ა-ში მდებარე ნაწილი ფართი.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2

პუნქტების, 122 მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-5 პუნქტის შესაბამისად გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით გადასცეს ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებას (ს/ნ 202051536), გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ გორში, ბარნოვის ქ. N9ა-ში მდებარე შენობის I სართულზე არსებული ნაწილი 200.00 კვ.მ. ფართი, საკადასტრო კოდი N66.05.17.220.01.502;

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე